ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №602504

ნომერი: AR1116523

თარიღი : 14.03.2013

გაცემის თარიღი : 21.03.2013

გაცნობის თარიღი : 22.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზემო ვაკის ქუჩა N28-32-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ დვალი პ/ნ 01002006260
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 221 კორ. 1"ა" ბ. 21

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.15.02.058.031) საზღვრების კორექტირება, სცდება არქიტექტურის სამსახურის კონპეტენციის ფარგლებს. აქვე განგიმარტავთ, რომ მოცემული დოკუმენტაციის თანახმად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებელია ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად, წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის საზღვრების კორექტირების შედეგად, მისი ნაწილი მოექცევა ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება, გამოიწვევს სამშენებლო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge